

2870 2870 2870 2870

287 1

16

287 1

16

2870 2870 2870 2870

20  
14.01.2025

# გალაღილაური სპექტაკლისათვის

## პ. თოფური

... სინათლე ჩაქრა. ფარდა იხსნება. სქელი შავი ღრუბლები ზანტად მოძრაობენ, თხელდებიან, სადღაც ლავდებიან. ვარსკვლავების ციმცამი გამოკრთის. შორს დათოვლილი მწვერვალები მოსჩანს, ქვემოთ მთის კონტურები, დაბლა სოფლის პეიზაჟი. წითლად იღებება ჰორიზონტი. რიყრეის შუქი ადგება წყაროს. სოფელი იღვიძებს. და იწყება სცენიური ცხოვრება. გზისპირად საქუას დუქანი, გვერდით გზა ჩაუდის, მოპირდაპირე მხარეზე სახლების წინა ხედი. ქალები წყაროდან წყალს ეზიდებიან. გლეხები მიდიმოდინან გზაზე. თენდება. ნათდება. კმაყოფილებით შესცქერი სოფლის იდლიურ სურათს და გარეგნული სანახაობიდან გილბული შთაბეჭდილება გინერაგავთ მტკიცე რწმენას, რომ მორიგი პრემიერა „მსხვერპლი“ ფოთის თეატრის ჯანსალი სტილის ბუნებრივი გაგრძელება იქნება. მაგრამ... ფინალი გვაფიქრებს.

პიესა ეკუთვნის ი. გედევანიშვილს. დრამის მიზანია ასახოს პირველი რევოლუციის შემდეგ დროინდელი პერიოდი, რეაქციული ძალების დესპოტიზმი, ერთობისათვის ბრძოლა და თავგანწირვა. ავტორის განზრახვა და თემის აქტუალობა საყურადღებოა. მით უმეტეს, რომ ქართულ სცენაზე ეს პერიოდი ჯერ კიდევ სუსტადაა წარმოდგენილი.

დამდგმელს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ან. ნ. გომიანიშვილს ცდა არ დაუკლია პიესის შინაარსის მიხედვით ძველი ყოფითი სურათებისა და ფერების გაცოცხლებსათვის, დადგმაში უსათუოდ იგრძობა მისი შემოქმედებითი ფანტაზიისა და პოტენციის ერთგვარი ვაშლა. მსახიობები (მცირედის გამოკლებით) მათთვის გეკუთვნილ როლებს გულწრფელად და ეფექტურად ანსახიერებენ. შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთის თამაში ბუნებრივობის მაღალ დონეს აღწევს (თ. ლორთქიფანიძე — გაბუა, მ. კანდელაკი — მარიამი, ს. ბერძენიშვილი — საქუა, გ. აბრამაშვილი — ბოქაული და სხვ.), კოლორიტულია მხატვრული გაფორმება (ა. მშენიერაძის), ახალგაზრდა კომპოზიტორის გ. კემულარის მუსიკა ნაკლებად ორიგინალურია და ალაგ-ალაგ ყურს უხეშად ესმის. საერთოდ დადგმაზე არსებითი შენიშვნები არა გვაქვს.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა განვაცხადოთ, რომ სპექტაკლი, რომელიც 8-9 მარტს ვნახეთ, ვერ აკმაყოფილებს მაყურებლის ესტეტურ მოთხოვნილებას და მხატვრულ გემოვნებას. იგი წარმოადგენს ერთგვარ რეგრესს ჩვენი თეატრისათვის იმ მკვრივ, მაღალიდურ სპექტაკლებთან შედარებით, რომლებიც შეუქმნია მას თავი-

სი მუშაობის უკანასკნელ პერიოდში. საქმე იმაშია, რომ დრამატურულად სუსტი პიესა შეუძლებელია გამოისყიდოს კარგმა დეკორაციებმა და თამაშმა. ასეთ შემთხვევაში მივიღებთ ცალკეულ სურათებს, სანახაობებს, ცალკეულ კარგ სცენებს, რომლებსაც ნაკლები ემოციურობა და მიწიდიელობა ექნება. ასეთია „მსხვერპლი“.

მასალა, რომელზედაც აგებულია პიესა, დრამატიზირებული არ არის. რას ნიშნავს მასალის დრამატიზაცია? ეს ნიშნავს იმას, რომ დრამატიკულ ნაწარმოებს, როგორც აუცილებელი რამ ჰქონდეს თავისი მამოძრავებელი მაგისტრალური ხაზი, ჰყავდეს მთავარი მომქმედი გმირი, რომლის გარშემო უნდა იქმნებოდეს მძაფრი დრამატული სიტუაციები, იხლართებოდეს ინტრიგა, ჩნდებოდეს მწვავე კონფლიქტები, შეჯახებები, დაძაბულობა, ამალელებელი სცენები გამომდინარე მომქმედ პირთა მდგომარეობიდან, ხასიათიდან, მოქმედების გაზიდან — იქ სადაც უგულვებლყოფილია ეს მოთხოვნა, დრამა ყოველთვის სცილდება რეალურობის სახეს და შიშველ ნატურალისტურ ბუნებად გადადის. ნატურალისტურ დრამისათვის დამახასიათებელია სურათების, მოვლენების ისევე წარმოდგენა, როგორც ის სინამდვილეში გვხვდება. რეალური დრამა სინამდვილიდან იღებს ტიპურს და გვიჩვენებს მას მაღალი ხელოვნებითა და სიძლიერით, უფრო ნათელი ფერადონებითა და სიღებავით, მეტი სიმკვეთით, წინააღმდეგობით, სხვადასხვა ტიპის ადამიანთა ხასიათების კონტრასტითა და დაპირისპირებით.

ასეთი რამ „მსხვერპლში“ არ არის. მომქმედ პირთა, მოვლენათა და მოქმედებათა შორის ლოდიკური, ბუნებრივი კავშირი არ იგრძნობა, მთლიანობა არ სჩანს. პიესის კომპოზიციური აგებულება და სიუჟეტური განვითარება ძალზე სუსტია, სიტყვიერი მასალა ღარიბია, დიალოგი, რომელზედაც გმირების ხასიათი უნდა იშლებოდეს, მკრთალია, პიესაში ვერ ვხედავთ სრულყოფილად დაბატულ ტიპებს, მთავარ გმირს, რომლის მოქმედება, ხასიათი იღებოდეს ამალელებს მაყურებელს. მსახიობი ა. მაგრაქველიძე (გიგუა ტეტი-აშვილი) მწვავედ განიცდის როლის სიღატაკს. მის ამპლუასათვის გიგუას სიტყვიერი მასალა ცვარის დანიშნულებას ასრულებს. ხასიათის ყოველმხრივ გამოკვეთის საშუალება არ ეძლევა მსახიობ დ. თევზაძეს, რომელიც ვანოს როლს გრძნობით ანსახიერებს. თითქმის ყველაფერი პირველ მოქ-

მედებაში მთავრდება. სტრაჟნიკი მოკლეს. განრისხებული ბოქაული ხალხისაგან მკვლელს მოითხოვს. უცებ ამხანაგებს გამოეყოფა ახალგაზრდა ვანო და უშიშრად აცხადებს: მე ვარ მკვლელი, დამაპატიმრეთ. იგი მიჰყავთ. გაისმის სინანულის, ორაზროვანი ხმა პატიოსანი, სულთ წმინდა ადამიანის უღანაშულოდ დაკარგვის გამო. არავის სჯერა, რომ ვანო სტრაჟნიკის მკვლელია. მაგრამ თოფი? რა უნდოდა ვანოსთან თოფს? ამით იკვრება კვანძი, ვინ არის მკვლელი? აი დრამის მთელი დილემა. კვანძი შეკრული არ არის და უფვე გახსნილია. საკმარისია ღრმად დააკვირდეთ ბოქაულის მრისხანების დროს გიგუასადმი მიპყრობილ ვანოს თვალებს, საკმარისია მოისმინოთ გიგუას ცოლის — ნატოს რეპლიკა და თქვენთვის ნათელი ხდება, რომ ნამდვილი მკვლელი გიგუაა, ხოლო ვანომ თავი დასდო მისთვის, მთელი სოფლისათვის, ხალხისათვის. მეორე და მესამე მოქმედება ამის შემდეგ მხოლოდ სანახაობას წარმოადგენს.

რას აძლევს სპექტაკლი მაყურებელს? იგი აცოცხლებს ლიტერატურულ ნაწარმოებებიდან ჩვენთვის ცნობილ სურათებს, გვიხატავს გლეხების დაბეჩავებულ მდგომარეობას, მღელვარებას, მაგრამ ყველაფერი ეს ნატურალისტურად არის წარმოდგენილი, მაღალი იდეურობისა და დრამატული სიტუაციების შექმნის გარეშე, ამიტომ სპექტაკლს მაყურებელთა ზრდისათვის მნიშვნელოვანი ადგილი არ უჭირავს. მთავარი კი მაყურებელთა აღზრდაა. გარდა ამისა, სწორად არ მიგვაჩნია მამასახლისის ტიპის მოცემა ნაწარმოებში. პიესის მიხედვით მამასახლისი ხალხის მოქმედაა, გულშემატკივარი, მათი ჭირისა და ლხინის მოზიარე. შესაძლებელია იყო ასეთი თითოთოროლა დემოკრატი მამასახლისი, მაგრამ იგი არ არის ტიპური.

როგორც დავინახეთ პიესა იმდენად სუსტია ლიტერატურული დამუშავებისა და მხატვრულის თვალსაზრისით, რომ იგი ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას დრამაზე, ვერ გვაღელვებს, ვერ გვზრდის. ამიტომ ნებას მივცემთ ჩვენს თავს, გავაკეთოთ ასეთი დასკვნა: ბევრს მოიგებდა თეატრის ხელმძღვანელობა რომ ამ პიესაზე ხელი არ მოეკიდა. აი, რატომ მიგვაჩნია მისი დადგმა ერთგვარ რეგრესად და რატომ მოვიტხოვთ თეატრისაგან შეუჩერებელ წინსვლას, ბრძოლას ყოველმხრივ შეკრული, მაღალიდური, ამალელებელი სპექტაკლების შექმნისათვის.

# პარიზის კომუნის 70 წლისთავისათვის

18 მარტს სრულდება პარიზის კომუნის 70 წლისთავი. ამ დღისათვის მრავალი წიგნი გამოიცემა. ამას წინათ გამოვიდა ე. ი. ლენინის სტატიებისა და სიტყვიების კრებული პარიზის კომუნის შესახებ. წინანდელი გამოცემისაგან განსხვავებით, კრებულში შეტანილია გლადიმერ ილიასძის იმ მოხსენების სამი კონსპექტი, რომელიც მან 1904 წლის 22 მარტს წაიკითხა ვენევაში. დაიბეჭდა და გამოვიდა გ. დიმიტროვის ბროშურა „პარი-

ზის კომუნის სამოცდაათი წლისთავისათვის“. დედაქალაქის საწარმოებსა, დაწესებულებებსა და საწავლებლებში ტარდება საუბრები და მოხსენებანი პარიზის კომუნის 70 წლისთავის შესახებ. ინტერნაციონალური საღამოები მოეწყობა ძერჟანსკის სახელობის ტრიოხკორნაია მანუფაქტურის კომბინატში, იურიდიულ ინსტიტუტში და სხვ. უფროსი კლასების მოსწავლეთათვის დიდი ინტერნაციო-

ნალური საღამო ეწყობა კულტურის პავლიკ მოროზოვის სახელობის საბავშვო სახლში. ჩერნიშევსკის სახელობის ინსტიტუტის ინსტიტუტში ეწყობა პარიზის კომუნისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა, აგრევე შესდგება სამეცნიერო სესია. (საკდესი).

„მშენებელი კომუნისათვის“

1940 წლის 15 მარტი

# საბერძნეთი ივლიის მთი

ათენი, 12 მარტი (საკდესი). საბერძნეთის სარდლობამ გუშინ საღამოს გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ნათქვამია: „მოწინააღმდეგე აქტიურად განაგრძობს შეტევის ოპერაციებს. საბერძნეთის ჯარმა მოწინააღმდეგის ყველა იერიში მოიგერია, ამასთან მტერს დიდი ზარალი მიაყენა. საბერძნეთის ჯარის კონტრშეტევის შედეგად წამოყვანილია 450 ტყვე, მათ შორის 3 ოფიცერი. საბერძნეთის ავიაციამ წარმატებით დაუშინა ყუმბარა მოწინააღმდეგის პოზიციებს“.

საბერძნეთის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კომუნიკეში, რომელიც გუშინ საღამოს გამოქვეყნდა, ნათქვამია: „მტრის ავიაციამ ყუმბარა დააყარა ლიქსურისონს (კუნძულ კეფალინიასზე) და დასავლეთ პელოპონესის ერთერთ სოფელს. მაგრამ ამას მსხვერპლი დაზარადა არ გამოუწვევია“.



იალტის ფერმენტაციის ქარხნის კომპლექსში იმერ ალი, რომელიც ყოველთვიურ გეგმას დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

(საკდესის ფოტო)

# ინგლის-გერმანიის მთი

## ინგლის-გერმანიის საჰაერო მთი

ლონდონი, 12 მარტი (საკდესი). 10 მარტს ღამით პორტსმუთის რაიონზე გერმანიის ავიაციის თავდასხმის შედეგად, მრავალი შენობა დანგრეულია ან ძალზე დაზიანებულია. ქალაქში ბევრი ადგილას გაჩნდა ხანძარი, მაგრამ ჯერ კიდევ გათენებამდე შესაძლებელი გახდა მისი ჩაქრობა. ქალაქის სავაჭრო ნაწილში ერთი ქუჩა თითქმის მთლად დანგრეულია. დაზიანებულია საკმაოდ ბევრი ავტობუსი და ტროლეიბუსი.

ინგლისის ინფორმაციის სამინისტროს კომუნიკეში აღნიშნულია, რომ „11 მარტს დღისით გერმანიის ავიაცია ერთგვარ აქტივობას იჩენდა კენტის საგრაფოში. გერმანიის თვითმფრინავების მეტი ნაწილი სანაპირო რაიონებში დაფრინავდა და მხოლოდ რამდენიმე თვითმფრინავმა მოახერხა ინგლისის შუაგულში შეჭრა. სამხრეთ სანაპიროსთან ჩვენმა ავიაციამ დაზარალებული მოწინააღმდეგის 1 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. უკანასკნელი ცნობებით, 10 მარტს ღამით ჩვენმა თავდაცვითმა ძალებმა მოწინააღმდეგის 7 თვითმფრინავი მოსპეს. გარდა ამისა, ჩამოგდებულ იქნა კიდევ ერთი თვითმფრინავი“.

ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში მოყვანილია დაწვრილებითი ცნობა იმ თავდასხმების შესახებ, რომლებიც მოახდინეს ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალებმა გერმანიის და ოკუპირებულ ტერიტორიაზე 10 მარტს ღამით. ინგლისის ყუმბარაშენი ავიაციის მცირე ძალები წარმატებით დაესხნენ თავს გერმანიის ერთერთ ინდუსტრიულ ცენტრს — კელნს. ხელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები აადვილებდნენ თავდასხმის შედეგების შემჩნევას. ბევრგან გაჩნდა ხანძარი ქალაქის სამრეწველო რაიონში, სადაც მოხდა რამდენიმე აფეთქება. ინგლისის ყუმბარაშენთა სხვა შენაერთები თავს დაესხნენ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ბაზებს ოკუპირებული საფრანგეთის სანაპიროზე. ბულონზე თავდასხმას წარმატებით შედეგი მოჰყვა. ინგლისის ერთი თვითმფრინავი არ დაბრუნებულა.

ინგლისის ავიაციამ ანადგურებელი ავიაციის თვითმფრინავებმა ჩრდილოეთ საფრანგეთის აეროდრომების თავზე იფრინეს. ერთი ავიაციამ ანადგურებელი არ დაბრუნებულა. ინგლისის სანაპირო ავიაციის შენაერთებმა ყუმბარა დაუშინეს შერბურგისა და ბრესტის დოკებს. ინგლისის ერთი თვითმფრინავი არ დაბრუნებულა.

ლონდონი, 12 მარტი (საკდესი). 10 მარტს ღამით პორტსმუთის რაიონზე გერმანიის ავიაციის თავდასხმის შედეგად, მრავალი შენობა დანგრეულია ან ძალზე დაზიანებულია. ქალაქში ბევრი ადგილას გაჩნდა ხანძარი, მაგრამ ჯერ კიდევ გათენებამდე შესაძლებელი გახდა მისი ჩაქრობა. ქალაქის სავაჭრო ნაწილში ერთი ქუჩა თითქმის მთლად დანგრეულია. დაზიანებულია საკმაოდ ბევრი ავტობუსი და ტროლეიბუსი.

ინგლისის ინფორმაციის სამინისტროს კომუნიკეში აღნიშნულია, რომ „11 მარტს დღისით გერმანიის ავიაცია ერთგვარ აქტივობას იჩენდა კენტის საგრაფოში. გერმანიის თვითმფრინავების მეტი ნაწილი სანაპირო რაიონებში დაფრინავდა და მხოლოდ რამდენიმე თვითმფრინავმა მოახერხა ინგლისის შუაგულში შეჭრა. სამხრეთ სანაპიროსთან ჩვენმა ავიაციამ დაზარალებული მოწინააღმდეგის 1 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. უკანასკნელი ცნობებით, 10 მარტს ღამით ჩვენმა თავდაცვითმა ძალებმა მოწინააღმდეგის 7 თვითმფრინავი მოსპეს. გარდა ამისა, ჩამოგდებულ იქნა კიდევ ერთი თვითმფრინავი“.

ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში მოყვანილია დაწვრილებითი ცნობა იმ თავდასხმების შესახებ, რომლებიც მოახდინეს ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალებმა გერმანიის და ოკუპირებულ ტერიტორიაზე 10 მარტს ღამით. ინგლისის ყუმბარაშენი ავიაციის მცირე ძალები წარმატებით დაესხნენ თავს გერმანიის ერთერთ ინდუსტრიულ ცენტრს — კელნს. ხელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები აადვილებდნენ თავდასხმის შედეგების შემჩნევას. ბევრგან გაჩნდა ხანძარი ქალაქის სამრეწველო რაიონში, სადაც მოხდა რამდენიმე აფეთქება. ინგლისის ყუმბარაშენთა სხვა შენაერთები თავს დაესხნენ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ბაზებს ოკუპირებული საფრანგეთის სანაპიროზე. ბულონზე თავდასხმას წარმატებით შედეგი მოჰყვა. ინგლისის ერთი თვითმფრინავი არ დაბრუნებულა.

ინგლისის ავიაციამ ანადგურებელი ავიაციის თვითმფრინავებმა ჩრდილოეთ საფრანგეთის აეროდრომების თავზე იფრინეს. ერთი ავიაციამ ანადგურებელი არ დაბრუნებულა. ინგლისის სანაპირო ავიაციის შენაერთებმა ყუმბარა დაუშინეს შერბურგისა და ბრესტის დოკებს. ინგლისის ერთი თვითმფრინავი არ დაბრუნებულა.

# აუთოქაბა სვამბოლის სასვამო

## „პერა-პალასში“

ანკარა, 12 მარტი (საკდესი). ანატოლიის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ, საღამოს 10 საათზე, სტამბოლის სასტუმრო „პერა-პალასში“, სადაც გაჩერდა სტამბოლში ახლახან ჩამოსული ინგლისის დესპანი რენდელი, რომელიც სოფიიდან არის გაწვეული, ყუმბარა გასკდა. დანგრეულია სასტუმროს შიდა კედელი და ფასადი. შემდეგ სააგენტო გადმოვიცემს, რომ აფეთქების ვითარების გამოძიებამ შედეგები გამოარკვია: სოფიიდან იმ სპეციალური მატარებლის გამოსვლის წინ, რომელსაც ინგლისის მისია მოჰყავდა, სოფიის ვაგზალში მისიის ბარჯში მოხვდა ორი ჩემოდანი,

რომლებიც მთელ ბარჯთან ერთად სტამბოლში ჩამოიტანეს. ერთერთი ჩემოდანი სასტუმრო „პერა-პალასში“ გადაიტანეს, სადაც იგი მიტანიდან რამდენიმე წუთის შემდეგ აფეთქდა. მეორე ჩემოდანი ინგლისის მისიის ერთი წევრის ბარჯში იპოვეს მეორე სასტუმროში. პირველი ჩემოდნის აფეთქების შემდეგ მეორე ჩემოდანში აღმოჩენილ იქნა მანქანა, რომელიც რადიობატარიას ჰგავდა. ექსპერტიზამ გამოარკვია, რომ მანქანა ფეთქებადი ნივთიერებით იყო გატენილი. ყუმბარა უკნებელსკევეს. კვლევა-ძიება გრძელდება. მოკლულია 3 და დაჭრილია 33 კაცი.

# თავდასხმა სუბის ახის ზონაზე

ლონდონი, 12 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო კაიროდან იუწყება, ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ 11 მარტს დილით სუეცის არხის ზონაში საჰაერო განგავში გამოცხადდა. ჩამოგდებულ იქნა რამდენიმე ყუმბარა, მაგრამ ამას არავითარი ზიანი არ გამოუწვევია.

# გიბრალტარის ბომბარდირება

ნიუ-იორკი, 12 მარტი (საკდესი). როგორც ასოშიეტიდ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ალხესირასიდან იუწყება, ერთმა თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა გიბრალტარს. ბომბარდირება უშედეგო იყო.

# რა დაჰკარგა ინდო-ჩინეთის შეთანხმების

ნიუ-იორკი, 12 მარტი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა კომენტარები გაუკეთეს ტოკიოში ხელმოწერილ ტაისა და საფრანგეთის ინდო-ჩინეთის წინასწარ შეთანხმებას და განაცხადეს, რომ ამ შეთანხმების შედეგად საფრანგეთის ინდო-ჩინეთი ჰკარგავს 30 ათას კვადრატულ მეტრ ტერიტორიას და ერთ მილიონ მოსახლეობას. ტაისათვის გა-

# ივლიის სანაკრძალის გაღობის

რომი, 12 მარტი (საკდესი). გაზეთი „კორიერე დელა სერა“ იუწყება, რომ იტალიის მეტალოურგიული მრეწველობის კვალიფიკაციური მუშების გერმანიაში გაგზავნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილია გადიდდეს სამუშაო დღე მეტალურგიულ და ლითონდამამუშავებელ საწარმოებში, რომლებიც დღე-ღამე

უახლოესი ამანაგები: ხაზარაძე, ქანია, უგრეხელიძე, ჭიათავა, ნოდია, ორლიჩენკო, შულაია, ტიმოშკო, გუმბარიძე, მიკოლაიჩუკი სიხარულიძე, კასრაძე, გვათუა, ჭანია, იუოვა, ჩაჩავა ვიზიარებთ ქეთო და ვანო დობოჯგინიძეების მწუხარებას საყვარელი შვილის	მუშა რად ცვლ 12 ს კვირ მოე 24 ს სამუ ძელ რა-
<b>ვანდობის</b>	
უდროოდ გარდაცვალების გამო	220.
ქ/გამშფლობის თან. მშრომლები როყვა, ნუბაროვა, ლომიძე, ხაპიტკაია, რუსია, კვერნაძე, სურგულაძე, ბუკია, ჯალალანია, თევზაძე, სპიტცი, ჯ. ნჯღავა, არეკიანი, და მალანია ვიზიარებთ ქეთო და ვანო დობოჯგინიძეების მწუხარებას პატარა	მუშა რად ცვლ 12 ს კვირ მოე 24 ს სამუ ძელ რა-
<b>ვანდობის</b>	
გარდაცვალების გამო	221
ზუნა და ნიკოლოზ გიგუჩაძეები შვილით ვიზიარებთ ცუცა და სერგო რუხ. ძეების მწუხარებას მათი შვილის პატარა	მუშა რად ცვლ 12 ს კვირ მოე 24 ს სამუ ძელ რა-
<b>თამაჯის</b>	
გარდაცვალების გამო	
საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეები მწუხარებას გამოთქვამენ მედსანშრომის პროფკავშირის ფონის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის, სერგო რუხაძის საყვარელი შვილის	მუშა რად ცვლ 12 ს კვირ მოე 24 ს სამუ ძელ რა-
<b>თამაჯის</b>	
გარდაცვალების გამო	211

